დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109241165**

თარიღი:**25/04/2024**

,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5-ე პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 23 აპრილის №108-1082411417 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. დმანისში, 9 აპრილის ქუჩა N32-ში მდებარე შენობა-ნაგებობის 361,12 კვ.მ ფართიდან (ს/კ 82.01.46.485) 242,48 კვ.მ ფართი, სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს 2 წლის ვადით (2026 წლის პირველ იანვრამდე).

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქ. N113), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი